

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის
N77 ბინაზე, მოქალაქე თეიმურაზ სანაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N77 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თეიმურაზ სანაძის წარმომადგენლის ზაალ ვარდოსანიძის /მც.ზ.ჭავჭავაძის ქ.N46/49/ განცხადება /2013 წლის 15.02 Nგ-1891/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N77 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე თეიმურაზ სანაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N77 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თეიმურაზ სანაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N77 ბინაზე /საერთო ფართობი 75,69 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 46,04 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,05 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,60 კვ.მ./ მოქალაქე თეიმურაზ სანაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი